

შპს სილქვეი ინდასტრიზ
ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები	11
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	12
7. ძირითადი საშუალებები.	12
8. სავაჭრო ვალდებულებები	12
9. ამონაგები	13
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
11. მიწოდების დანახარჯები	13
12. ადმინისტრაციული დანახარჯები	13
13. ფინანსური შემოსავალი	14
14. ფინანსური დანახარჯები	14
15. შემდგომი მოვლენები	14
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	14

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(ლარი)

შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	4 691,314	1,409,497
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 1,584,404	1,211,841
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6 1,293,415	856,758
სულ მიმდინარე აქტივები	3,569,133	3,478,096
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7 710,091	772,502
არამატერიალური აქტივები	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	710,091	772,502
სულ აქტივები	4,279,225	4,250,598
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	8 (1,060,303)	(1,497,349)
მოკლევადიანი სესხი	-	-
გადასახდელი პროცენტი	-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	(20)	(632)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(1,200)	(2,600)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(62)	78
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	(1,061,584)	(1,500,502)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	-	-
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულება	-	-
გადავადებული შემოსავალი	-	-
ანარიცხები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	(1,061,584)	(1,500,502)
საკუთარი კაპიტალი		
რეზერვი		
სააქციო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(3,217,641)	(2,750,096)
სულ საკუთარი კაპიტალი	(3,217,641)	(2,750,096)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	(4,279,225)	(4,250,598)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 ივლისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ევგენი ჯიხვაძე

მთ. ბუღალტერი ----- იზა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 14-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	შენიშვნა	2020
ამონაგები	9	4,929,936
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(3,746,023)
საერთო მოგება		1,183,913
სხვა შემოსავალი		-
მიწოდების დანახარჯები	11	(165,907)
ცვეთა და ამორტიზაცია		(83,255)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(523,119)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)		-
სხვა ხარჯები		-
საოპერაციო მოგება		411,632
ფინანსური შემოსავალი	13	597,340
ფინანსური დანახარჯები	14	(9,640)
მოგება დაბეგვრამდე		999,332
მოგების გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე წლის მოგება		999,332
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		2,750,096
დივიდენდები		(531,787)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		3,217,641

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 ივლისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ევგენი ჯიხვაძე

მთ. ბუღალტერი ----- იზა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 14-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	2020 წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,128,858)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	62,410
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	259,917
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(806,531)
სავალუტო კურსის ეფექტი	88,348
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,409,497
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	691,314

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	2750096	-	2,750,096
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	999332	-	999,332
დივიდენდის განაწილება	-	(531787)	-	(531,787)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	3217641	-	3,217,641

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 ივლისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ევგენი ჯიხვაძე

მთ. ბუღალტერი ----- იზა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 14-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „სილქვეი ინდასტრიზ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2016 წლის 31 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 412718242, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. 88, (ნაკვეთი # 01/298) , (თავისუფალი ინდუსტრიული ზონა)

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

ანდრო ამირანაშვილი (რუსეთი) (პ.ნ 01011019045) - 65.0 %

სერჟი ბულჰაკოვ 2997807176, EX168469, 60391001270 - 25.0 %

ევგენი ჯიხვაძე (პ.ნ: 60001006702) – 10,0 %

კომპანიის დირექტორია : ევგენი ჯიხვაძე (პ.ნ: 60001006702)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: სხვა და სხვა სახის ელექტრო საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების და მოწყობილობების წარმოება და ამ საქონლის ექსპორტი. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები, არ ჰყავს მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-

ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი

გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- ა. თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- ბ. გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- გ. მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- დ. გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის გარდა შენობების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები - 5 -10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები- 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-7 წელი.

-

გადასახადები

კომპანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის და „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულია როგორც თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით და გათავისუფლებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისაგან. შესაბამისად კომპანიას არ აქვს დღგ გადასახადის ვალდებულება,

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

საშემოსავლო გადასახადის დაკავების ვალდებულება, ქონების გადასახადის ვალდებულება, მოგების გადასახადის ვალდებულება და აქვს ვალდებულება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების/შემძენის შემთხვევაში მიღებული/მისაღები შემოსავლის ან გადასახდელი თანხის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების/შემძენის თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3,2766 ლარი;

4. ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2020 წ.	2019 წ.
ნაღდი ფული სალაროში	1,944	18,965
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	396	2,322
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	688,974	1,388,210
სულ	691,314	1,409,497

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2020 წ.	2019 წ.
მოთხოვნები მომსახურეობიდან და მიწოდებიდან	836,764	515,131
გადახდილი ავანსები	747,061	695,932
სხვა	579	779
სულ	1,584,404	1,211,841

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

2020 წლის ბოლოსათვის გადაუხდელი მოთხოვნები არის იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანია მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები წარმოდგენილია:

	2020 წ.	2019 წ.
მზა პროდუქცია	1,255,969	850,710
ნედლეული და მასალები	10,901	6,048
დაუმთავრებელი წარმოება	26,545	
სულ	1,293,415	856,758

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მანქანა დანადგარე	ოფისის აღჭურვილო	ავეჯი და სხვა	სატრანს პორტო	იჯარით აღებულ	მცირ ეფას	სულ
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	796,153	4,411	4,387	21,599	34,582	-	861,132
შემოსვლა	19,428	608	808				20,844
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	815,581	5,019	5,195	21,599	34,582	-	881,976
ცვეთა							
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	(71,675)	(2,019)	(1,444)	(8,305)	(5,187)	-	(88,630)
ცვეთის ხარჯი	(72,991)	(917)	(994)	(3,943)	(4,409)	-	(83,255)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა							-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	(144,667)	(2,936)	(2,438)	(12,248)	(9,596)	-	(171,885)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	724,478	2,392	2,943	13,294	29,395	-	772,502
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	670,914	2,083	2,757	9,351	24,986	-	710,091

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სავაჭრო ვალდებულებები

	2020 წ.	2019 წ.
მოთხოვნები მომსახურეობიდან და მიწოდებიდან	402,045.51	1,322,992
მიღებული ავანსები	658,257.12	174,357
სულ	1,060,303	1,497,349

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს არარეზიდენტი კომპანიები.

9. ამონაგები

კომპანიის 2020 წლის ამონაგები შედგება:

საქონლის გაყიდვიდან	4,698,271
მომსახურეობიდან	231,666
სულ	4,929,936

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

მარაგების საწყისი ნაშთი	856,758
მარაგების შესყიდვა	4,182,681
მარაგების საბოლოო ნაშთი	1,293,415
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	
სულ	3,746,023

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერისას გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასების მეთოდი.

11. მიწოდების დანახარჯები

მიწოდების დანახარჯები შედგება ტრანსპორტირების ხარჯისგან 165907 ლარი

12. ადმინისტრაციული დანახარჯები

კომპანიის 2020 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

იჯარა	128,500
შრომის ანაზღაურება	140,686
კომუნალური	5,348
საკონსულტაციო	6,000
მოსაკრებელი	1,232
რემონტი, მცირეფასიანი, სამეურნეო	6,405
მომსახურეობა	13,829
მივლინება	7,668
ბანკის საკომისიო	3,060
ოფისის ხარჯი	244
საპენსიო	2,568
დაზღვევა	204
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	207,376
სულ	523,119

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

13. ფინანსური შემოსავალი

კომპანიის 2020 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

კაპიტალიზაცია	7,930
წინა წლების ფასდათმობა	372,895
სხვა	5,410
დადებითი საკურსო სხვაობა	211,105
სულ	597,340

14. ფინანსური დანახარჯები

კომპანიის 2020 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

უარყოფითი საკურსო სხვაობა	3,476
არასაოპერაციო ზარალი	6,164
სულ	9,640

15. შემდგომი მოვლენები

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 31 ივლისს.

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	01.01.2021	01.01.2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	691,314	1,409,497
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,584,404	1,211,841
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1,293,415	856,758
სულ მიმდინარე აქტივები		3,569,133	3,478,096
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	710,091	772,502
არამატერიალური აქტივები		-	-
საინვესტიციო ქონება		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		710,091	772,502
სულ აქტივები		4,279,225	4,250,598
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	(1,060,303)	(1,497,349)
მოკლევადიანი სესხი		-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		(20)	(632)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		(1,200)	(2,600)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(62)	78
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(1,061,584)	(1,500,502)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		-	-
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულება		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
ანარიცხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		(1,061,584)	(1,500,502)
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი		-	-
სააქციო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(3,217,641)	(2,750,096)
სულ საკუთარი კაპიტალი		(3,217,641)	(2,750,096)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		(4,279,225)	(4,250,598)


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 ივლისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ევგენი ჯიხვაძე

მთ. ბუღალტერი



იზა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სილქვეი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	შენიშვნა	2020
ამონაგები	9	4,929,936
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(3,746,023)
საერთო მოგება		1,183,913
 სხვა შემოსავალი		-
მიწოდების დანახარჯები	11	(165,907)
ცვეთა და ამორტიზაცია		(83,255)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(523,119)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)		-
სხვა ხარჯები		-
საოპერაციო მოგება		411,632
 ფინანსური შემოსავალი	13	597,340
ფინანსური დანახარჯები	14	(9,640)
მოგება დაბეგვრამდე		999,332
 მოგების გადასახადის ხარჯი		
მიმდინარე წლის მოგება		999,332
 გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		2,750,096
დივიდენდები		(531,787)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		3,217,641


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 ივლისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ევგენი ჯიხვაძე

მთ. ბუღალტერი



იზა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სილქევი ინდასტრიზ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	2020 წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,128,858)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	62,410
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	259,917
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(806,531)
სავალუტო კურსის ეფექტი	88,348
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,409,497
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	691,314

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	2750096	-	2,750,096
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	999332	-	999,332
დივიდენდის განაწილება	-	(531787)	-	(531,787)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	3217641	-	3,217,641

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 ივლისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ევგენი ჯიხვაძე

მთ. ბუღალტერი

იზა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.